

პარლამენტში დღეს თბილისის ტერიტორიაზე ხეების ჭრასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროექტზე იმსჯელებენ

interpressnews.ge/ge/politika/417059-parlamentshi-dghes-tbilisis-teritoriaze-kheebis-tcrasthan-dakavshirebul-sakanonmdeblo-prc

პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე დღეს, თბილისის ტერიტორიაზე ხეების ჭრასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროექტს განიხილავენ. პროექტი უმრავლესობის დეპუტატმა დავით სონღულაშვილმა წარადგინა, რომელიც ცვლილებების განხორციელებას "ქალაქ თბილისის საბღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" კანონში ითხოვს. აღნიშნული კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისების, აგრეთვე მათზე მშენებლობის განხორციელების დროს შესაბამისი ორგანოების მიერ მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის გაცემა დასაშვებია, თუ არსებული მწვანე ნარგავები დაავადებულია, ხოლო ასეთი დაავადების არსებობა და მწვანე ნარგავების განკურნების შეუძლებლობა დადასტურებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების მიერ.



დეპუტატი დავით სონღულაშვილი პარლამენტს სთავაზობს პროექტს, რომლის თანახმად, დაავადებული ნარგავების გარდა, ხმელი, ხმობადი, ამორტიზებული და ფაუტი ნარგავების ჭრა ხდება დასაშვები. ამავე პროექტით, ასეთ ჭრები ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების გარეშე იქნება შესაძლებელი. დავით სონღულაშვილის პროექტის საპირისპიროდ, პარლამენტში ასევე წარდგენილია "პარტიზანული მებაღეობის" აქტივისტების ნატა ფერაძისა და ვახტანგ ქინქლაძის, ასევე ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" საკანონმდებლო წინადადებები, რომელიც დედაქალაქში ჭრებზე რეგულაციის დანერგვას ითვალისწინებს. მათ საკანონმდებლო წინადადებაზე კომიტეტი ასევე დღევანდელ სხდომაზე იმსჯელებს.